ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

7 (9994) • 18 Tebervali • 2013 w.

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

ალიონი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

შეხვედრა რეგიონული განვითარების რეფორმის მხარდაჭერისათვის

გაზეთი „ალიონი“

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო რეგიონული განვითარების რეფორმის მხარდაჭერის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით შეხვედრებს მართავს. დღეს, 12 თებერვალს სამინისტროს წარმომადგენლები, მინისტრის პირველი მოადგილის, თენგიზ შერდელაშვილის ხელმძღვანელობით გურიაში იმყოფებოდნენ და სამუშაო შეხვედრა სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის ადმინისტრაციის შენობაში გამართა. შეხვედრას მინისტრის მოადგილის გარდა ესწრებოდნენ გურიის გუბერნატორი ვალერი ჩიტაიშვილი, სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები, გურიის სამივე მუნიციპალიტეტის საკრებულოების თავმჯდომარეები, გამგებლები, მათი მოადგილეები. ასევე ადგილობრივი ექსპერტები.

შეხვედრაზე განიხილეს მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები და საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის 2011 წლის 14 ნოემბერის დაფინანსების ხელშეკრულებით ქართული მხარის ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა. სამინისტროს წარმომადგენლებმა გააკეთეს მოხსენებები იმ ძირითადი ღონისძიებების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია რეგიონული განვითარების სტრატეგიის მომზადების პროცესთან, რაც, თავის მხრივ, მოიცავს ყველა დაინტერესებული მხარის მაქსიმალურ ჩართულობასა და საჯაროობას.

წელს რეგიონებზე აჭარისა და დედაქალაქის გამოკლებით 200 მილიონი ლარია გამოყოფილი. საინიციატივო წინადადებები 11 მარტამდე უნდა წარადგინონ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კოტე შარაშენიძემ მდინარე ნატანებზე მერია-ლაითურის დამაკავშირებელი ხიდის დროული აღდგენის აუცილებლობის საკითხი დააყენა.

—ხიდის აღდგენა სავარაუდოდ 3 მილიონი ლარი დაჯდება. გუშინ ხანძარი გაჩნდა, ქარსაფარ ზოლს ცეცხლი წაეკიდა და მეხანძრეებს პრობლემა შეექმნათ შემთხვევის ადგილამდე მისვლაში. ხიდი მთლიანად ჩავარდნილია და საფრთხეს ქმნის. ეს საკითხი საქართველოს პრემიერ-მინისტრმაც იცის. სამინისტროდან მოგვივიდა წერილი, რომ ეს არის ადგილობრივი პრობლემა, მაგრამ ხიდის აღდგენა თვითმმართველობის ბიუჯეტით შეუძლებელია.

თენგიზ შერგელაშვილმა აღნიშნა, რომ გურიის რეგიონი მოკრძალებულად გამოიყურება სტრატეგიული გეგმების საკითხში. ამ მხრივ საქმე წინ არ წასულა.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა იმ ღონისძიებებზეც, რომელთა შესრულებაც ზემოთაღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ. კერძოდ, საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მუნიციპალური დაგეგმვის შესაძლებლობის განვითარებისათვის მინიმალური სტანდარტებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების საჯარო მოხელეთა სისტემის შემუშავებასთან.

ლაითურლები პრობლემებზე საუბრობენ

ნუგზარ ოთარიშვილი

გასულ პარასკევს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შენობის წინ აქცია გამართეს დაბა ლაითურის მცხოვრებლებმა. ისინი ხელისუფლებისგან რამდენიმე კითხვაზე ითხოვდნენ პასუხის გაცემას.

—ებრაელი ბიზნესმენი იგორ ასკაროვი, რომელსაც ლაითური-ცეცხლაურის გზაზე ათეულობით ჰექტარი მიწის ფართობი აქვს შესყიდული, ქარსაფარ ზოლს ჭრის.

—3 ხის მოჭრის საბუთი ჰქონდა, სამი კი არა ათეულობით მოჭრა და ტრაქტორით ძირებიც კი ამოიღო, კვალი რომ დაეფარა—გვითხრა „ქართული ოცნების“ ლაითურის ორგანიზაციის წარმომადგენელმა **ლევან დუმბაძემ.**

ლაითურლები უპირველეს პრობლემად მიწების უქონლობას ასახელებენ.

—თავის დროზე ჩალის ფასად ჩაიგდეს მიწები ხელში ე.წ. „ინვესტორებმა“ და ახლა ხუთმაგ ფასს ასახელებენ—ამბობდნენ ისინი.

ლაითურლები წყლის პრობლემაზე საუბრობდნენ და უგზოობასაც უჩიოდნენ.

—ლაითური-მერიის ხიდი ჩავარდა, ერთადერთი გზა ლაითური-ნარუჯის გზაა, არ გაივლება...

—ყველა პრობლემაზე ვიმუშავებთ, უპირველესად ნარუჯა-ლაითურის გზის პრობლემას მოვაგვარებთ—უთხრა ლაითურლებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა **კოტე შარაშენიძემ** და ტელეფონით იქვე სთხოვა დახმარება შპს „გზაშენი 18“-ის უფროსს თემურ ჯაჯვას ამ გზის დაგრეიდერების სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით.

დავით ჭანუყვაძე - ცხემლისხიდის ახალი რწმუნებული

12 თებერვალს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, გიორგი ღურჯუმელიძემ სოფელ ცხემლისხიდის მოსახლეობას, ახალი რწმუნებული დავით ჭანუყვაძე წარუდგინა, რომლის არჩევაც დაბა ნასაკირალის რწმუნებულის მსგავსად, ადგილობრივი მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით მოხდა და იგი სამთვიანი საგამცდო ვადით დაინიშნა.

გამგებლის მოადგილემ მოსახლეობას ახალი ხელისუფლების ის პრიორიტეტული საკითხები გააცნო, რომელთა დაგეგმვასა და განხორციელებას კოალიცია „ქართული ოცნება" ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გეგმავს.

გიორგი ღურჯუმელიძემ ჯანდაცვის სფეროში ამ დროისთვის არსებული მინიმალური სადაზღვევო პაკეტის მნიშვნელობაზე ისაუბრა, რომელიც სულ მალე გაიზრდება და თითოეული მოქალაქისათვის ხელმისაწვდომი გახდება. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში, პრიორიტეტული პროექტები სოფლისა და მოსახლეობის სასიკეთოდ დაიგეგმება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახური

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული გეგმა განიხილეს

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განვითარების 2013-2016 წლების სტრატეგიული გეგმა განიხილეს.

შეხვედრა გახსნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილმა და მოკლედ წარმოადგინა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი.

განხილვაში მონაწილეობდნენ: სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის წარმომადგენელი ისააკ ლომთათიძე, საკრებულოს განყოფილების გამგე ნანა თავდუმაძე, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი დავით მელუა, **MSI** რეგიონული კოორდინატორი თამარ აბდალაძე.

ჩემი თემი

7 დღის ამინდის პროგნოზი

18 თებერვალი ორშაბათი	19 თებერვალი სამშაბათი	20 თებერვალი ოთხშაბათი	21 თებერვალი ხუთშაბათი	22 თებერვალი პარასკევი	23 თებერვალი შაბათი	24 თებერვალი კვირა
წვიმა +4+10	მზე, ღრუბელი, +4+11	წვიმა +4+10	მზე, ღრუბელი +6+11	მზე, ღრუბელი +6+10	მზე, ღრუბელი +8+12	წვიმა +6+11

„არ ვიყავით ჩვენ ამ ინფორმაციის გავრცელების პირველწყარო“

მარი კოძოევი

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში პრესკონფერენცია გამართა ავღანეთში დაჭრილ ვიცე-პოლკოვნიკის დედამ, თინა გოგუაძემ და კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრმა ნინო გოგუაძემ. ისინი გაზეთ „გურია ნიუსის“ ერთ-ერთი პუბლიკაციის გამო გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას. გთავაზობთ ორთავე მხარის პოზიციებს

შეკვეთილი პასკვილის კვალდაკვალ

„გურია ნიუსის" სტატია, ჩემი ბილწსიტყვაობისადმი ტრფიალთან დაკავშირებით, მრავალმხრივ ახსნას საჭიროებს. დავიწყებ იმით, რომ ჩემი სავარაუდო დანიშვნა, გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილის თანამდებობაზე, საკმაოდ მძიმედ მიიტანა გულთან, მავანმა და მავანმა. მიზეზთა და მიზეზთა გამო, მე არ მოვიაზრები ვისიმე გუნდრუკ-მკმეველთა რიგებში, არც შემდგომში ვაპირებ პატრონყმულ ურთიერთობას და მიმაჩნია, რომ ზომბი მოადგილის სინონიმი არ არის. ღრმა და ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ ე.წ. ჟურნალისტი-მარინე ჩიხლაძე გამოიყვანეს ასპარეზზე, რომელთანაც არა მარტო მე და ჩემს ოჯახს, არამედ მთელს ჩემს უბანს უდიდესი შეურაცხყოფა და ბოროტების ყავილები გვაკავშირებს. ეს ყავილები შარლ ბოდლერის „ბოროტების ყავილებთან" არ ასოცირდება, ე.წ ჟურნალისტმა გასული წლის დეკემბრის თვეში, ჩვენი უბნელის, თანატოლის, მეგობრის და საქართველოს გმირის პოლკოვნიკ ალექსანდრე ტულუშის ტრაგედია, ეთიკის ნორმების იგნორირებით და მორალის სრული დეფიციტით, გამოიყენა, როგორც საგაზეთო ნოსი. მაშინ როდესაც, ჩვენი თხოვნის გათვალისწინებით, მასმედიის საშუალებებმა, არ გააჟღერა, ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ ალექსანდრეს ორივე ფეხი ჰქონდა ამპუტირებული, დედას და მამას, მხოლოდ ერთი კიდურის შესახებ ვაცნობეთ და ვიმედებდით, რომ მეორეც შენარჩუნდებოდა, რათა ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, სიმართლეს შეეძლო მშობლების სიკვდილამდე მიყვანა, ალექსანდრეს თავად უნდა ეამბა მათთვის ამ ტრაგედიის შესახებ და მინდა ყველას მადლობა გადავუხადო, ვინც გაითვალისწინა და მერწმუნეთ, დღეს რომ ქალბატონი თინა, შვილს ესაუბრება, ამ ინფორმაციის დროებით შეჩერებამ გამოიწვია. მგრამ ოზურგეთში, ალექსანდრეს მშობლიურ ქალაქში, აღმოჩნდა ჟურნალისტი (!?), რომელმაც მორალი და ზნეობა, გვერდზე გადადო და ოჯახს „ახარა", „თქვენ, რომ გვონიათ, თქვენს შვილს, ერთი ფეხი არ აქვს, სინამდვილეში, ორივე ამპუტირებულიაო"!

ავღანეთში კიდევ ერთი ქართველი ჯარისკაცი ნაღმზე აფეთქდა?

ადმინისტრატორი, სამშაბათი, 20 დეკემბერი 2011 07:41

(გურია ნიუსი, ოზურგეთი)-როგორც „გურია ნიუსს" წყარომ აცნობა, ავღანეთში სამშვიდობო მისიით წასული კიდევ ერთი გურული ჯარისკაცი ნაღმზე აფეთქდა. წყარო ამბობს, რომ ეს ამბავი რამდენიმე დღის წინ მოხდა და ჯარისკაცს ორივე ფეხის ამპუტაცია გაუკეთეს, თუმცა, მუიბლეგამ

დღეს კი გაიძახინ სახელი და გვარი არ მიგვიწერიაო, მაგრამ ეს ძალიან ჰგავს-„სახელს და გვარს არ ვიტყვი, ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეო"-ს

მთელი ჩვენი უბანი, ვინც ალექსანდრესთან ერთად გავიზარდეთ, არაფერს ვიტყვი, რომ იგი ჩემი სისხლი და ხორცია, იმ დღეებში, უდიდესი ტკივილით ვიყავით სავსე. ამას თან ერთვოდა თანაგრძნობა დედის მიმართ, რომელიც საწოლიდან ვერ დგებოდა. იმ ავადსახსენებელ წელს, ჩვენ უბანში ახალი წელი არ შემოსულა, არცერთი თოფი თუ მაშხალა არ გავარდნილა.

მე მარინა ჩიხლაძესთან დავრეკე, ალექსანდრეს ყველა მეგობრის სახელით, ყველა დედის სახელით, ვინც მსგავს სიტუაციაში არ უნდა იყოს, მაგრამ გულთან მიიტანს სხვის ტკივილს. მარინა ჩიხლაძისათვის, დარეკვა და იმ აზრის გაცნობა რას ფფიქრობდით ჩვენ მასზე, პირველ რიგში როგორც ადამიანზე და შემდეგ როგორც ჟურნალისტზე, იმ წუთებში ყველა ჩვენთაგანისთვის აუცილებლობას წარმოადგენდა. დღესაც, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ამ ქალბატონმა, სულში ჩაფურთხა არა მარტო ჟურნალისტიკას, როგორც პროფესიას, რომელიც ადამიანისთვის ზიანის მომტანად არ უნდა აღიქმებოდეს, არამედ ყველას, ვინც პირველ ადგილზე ადამიანს და ადამიანის დანიშნულებას აყენებს, არა მგონია ადამიანის დანიშნულება, ნიშნისმოგებით და ქირქილით ვაი-სტატიების წერა იყოს მაგ. რას ნიშნავს-„გურული ჯარისკაცი"? ყველაფერი მუთითა, ჩვენმა პატივსაცემმა ქალბატონმა, ამპუტირება, ნაღმზე აფეთქება, გერმანიაში მკურნალობის კურსი და ბოლოს ვიცე-კოლკოვნიკობა ვერ გაიმეტა, აქაოდა ამით დავფარე ვინ იყო.

ვიცე-პოლკოვნიკობა „ვერ გაიმეტა" ვერც გიორგი გირკელიძემ, კვლავ „გურულ ჯარისკაცად" გვაცნობს, მს ვისაც ვახტანგ გორგასლის სამივე ხარისხის ორდენი, საერთაშორისო გმირის წოდება, და სხვა ჯილდო აქვს მიღებული.

მარინა ჩიხლაძეს, დანაშაულის ჩამდენს როდესაც მე საკმაოდ მძიმედ ვესაუბრებოდი, მთელი აქცენტი იმაზე გადაჰქონდა, რომ ის „რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი იყო" (?!). ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის ეს ქალბატონი, როგორც პროფესიონალი არ არსებობს, ასევე მიმაჩნია რომ მას ბოდიში ჰქონდა და აქვს მოსახდელი. ბატონი გირკელიძის სტატიის წაკითხვის შემდეგ, ალექსანდრე ტულუშიდს დედა, ქალბატონი თინა გოგუაძე, გულის შეტევით საავადმყოფოში მოათავსეს, საბედნიეროდ გიორგი გირკელიძის თანაავტორობით (რადგან მოკარნახედ მარინა ჩიხლაძე ბრძანდება) შედეგენილმა, „ორღობის ჟურნელისტიკის შედეგრმა", ამჯერადაც ვერ მიაღწია მიზანს და ყველაფერი კარგად დამთავრდა.

მინდა გაცნობოთ, რომ ერთი წლის წინ, ნიუსის წაკითხვამ სადაც ჟურნალისტმა, „გვახარა", რომ ალექსანდრეს ერთი კი არა ორივე ფეხი ჰქონდა ამპუტირებული, ალექსანდრეს მამას ხელში თოფი ააღებინა და რომ არა, ოჯახის ახლობლები, ბატონი ზურაბი ამ ამბით შეძრწუნებული, თვითმკვლელობით აპირებდა სიცოცხლის დასრულებას. დღეს ხმამაღლა, შეურაცხყოფილთა „მანტია მოსხმული" ბატონი გირკელიძე და ქალბატონი ჩიხლაძე, პატივისცემას და სრულ მორჩილებას ითხოვენ, რაც არ უნდა იციან, რომ მხოლოდ ერთი ფეხი მოჰკვეთეს. ჩვენივე წყაროს ცნობით, დაზარალებული ქართველი სამხედრო მოსამსახურე მკურნალობის კურსს გერმანიაში გადის. „გურია ნიუსი" შეეცადა თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს, სალომე მახარაძეს დაკავშირებოდა, თუმცა რამდენიმე ზარის მიუხედავად ქალბატონმა სალომემ ტელეფონზე არ გვიპასუხა.)

აღმაშფოთებელი და ადამიანის სიცოცხლისთვის საშიში იყოს მათი ქმედებანი.

როდესაც „გურია ნიუსის" ჟურნალისტთა ეთიკური კოდექსი წავიკითხე, აღმოვაჩინე, რომ არც გირკელიძეს და არც ჩიხლაძეს ის თავის დროზე არც კი გადაუკითხავთ. სტატია ვებგვერდზე გამოქვეყნების შემდეგ ორჯერ შეიცვალა, დაბეჭდილ გაზეთში, შვიდ სიტყვიანი სათაურით-„ბოლწსიტყვაობის მოყვარული ქალბატონი ოზურგეთის გამგებლის მოადგილედ ინიშნება"-შეცვლილია „ოზურგეთში საკადრო ცვლილებები იგეგმებათი" „ცისფერი მთების" არ იყოს რას საჭიროა ეს ორი სათაური და კიდევ რამდენი დრო დასჭირდება, გიორგი გირკელიძეს ჩამოყალიბდეს და სტატიას სრული სახე მისცეს?

აღნიშნული სტატია, პირველი ვარიანტით ჩემს სკამით შეიარაღებას და საბრალო ჟურნალისტის წინააღმდეგ გალაშქრების ამსახველ შინაარსს შეიცავდა, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ „სკამით ბრძოლის სცენები", ჟურნალისტმა გირკელიძემ წაშალა პირველი ვარიანტიდან, ისე, რომ არ განუმარტავს არც დაწერის და არც შემდეგ წაშლის მიზეზი. მე, რა თქმა უნდა, ორივე ვარიანტი საგულდაგულოდ შევინახე, როგორც აღმოჩენა ახალი თვისებებისა საკუთარ თავში. მახსოვს ჟურნალისტიკის პირველ კურსზე, ცხონებულმა ვახტანგ ითონიშვილმა, პირველივე ლექციაზე რჩევა მოგვცა მომავალ ჟურნალისტებს –„ჟურნალისტიკა მსოფლიოში მეორე უძველესი პროფესიაა, მაგრამ ეცადეთ თქვენი ნამოღვაწარით მსოფლიოში პირველ პროფესიასთან არ გათანაბრდესო". საინტერესოა გიორგი გირკელიძეს რას ასწავლიდნენ მისი ლექტორები?...

ვაპირებ სასამართლოს მივმართო, რომ გიორგი გირკელიძემ და მარინა ჩიხლაძემ პასუხი აგონ ჩემი და ალექსანდრე ტულუშის ოჯახებისთვის მორალური ზიანის მიყენების გამო.

ამასთანავე პასუხი აგონ აღნიშნული სტატიის წაკითხვის შემდეგ ქალბატონი თინა გოგუაძის საავადმყოფოში მოთავსების გამო, რადგან თინა გოგუაძეს სწორედ გიორგი გირკელიძე ჰყავდა გაფრთხილებული, რომ „გურია ნიუსს" არასოდეს დაეწერა მის შვილზე. ანუ პასუხი აგონ მიზანმიმართულად, ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში ქმედებისათვის.

ასევე პასუხი აგონ, ჩემი, როგორც პიროვნების განსასაზღვრელად იმ ეპითეტის გამოყენებაში, რომლითაც დაკვეთით შეითხნილი, სტილისტურად გაუმართავი სტატიაა დასათაურებული.

***

თამარ ლეფსვერიძე, გაზეთ „გურია ნიუსის“ ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელი:– არ ვიყავით ჩვენ ამ ინფორმაციის გავრცელების პირველწყარო. ერთ-ერთ საგენტოს სახელით და გვარით აქვს ეს ინფორმაცია ჯერ კიდევ ხუთი დღით ადრე გამოქვეყნებული და ჩვენ ამის მტკიცებულებას დავდებთ. ვფიქრობ, რომ სხვა რაღაცასთან გვაქვს საქმე და ეს არის არა ბრალდება, არა პრესკონფერენცია, არამედ მიზანმიმართული პროვოკაცია „გურია ნიუსის" წინააღმდეგ. სარჩელს შევიტანთ სასამართლოში ჩვენი ჟურნალისტების რეპუტაციის, სახელის და ღირსების შელახვისთვის.

„ყველასთვის ერთნაირად საყვარელი და მისახედია ჩვენი სოფელი“

ნუგზარ ასათიანი

სოფ. ბაილეთი მდინარე სუფსის მარცხენა სანაპიროზე გორაკებზეა შეფენილი. თემი შედგება ახალსოფლის საკმაოდ დიდი დასახლებისაგან, საკუთრივ ბაილეთისა და მთის ფედობს შეფენილ ჭანიეთურისაგან. სოფელში ორი ტაძარი დგას. ძველი–ჭანიეთურში წმ. მარინეს ტაძარი, და ახლადაგებული – ახალსოფელში. ჭანიეთურში ოზურგეთის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, მამა ბასილი (კვირჩილაძე) ასრულებს პერიოდულად წირვა-ლოცვას, ხოლო ახალსოფელს შაბათობით მამა ანდრია (ჩხარტიშვილი).

სოფელში არის საჯარო სკოლა, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა კარგი ტრადიციებით და შესანიშნავი კადრებით. ამჟამად სკოლას მზევინარ ხვთასი უდგას სათავეში. სოფლის პრობლემა დაბალი შობადობა და ახალგაზრდების მიგრაციაა. სკოლაში ამჟამად მხოლოდ 80 მოსწავლეა. აქედან I კლასში–2 მოსწავლე, მე-7 კლასში არავინ, ხოლო XII კლასს 10 მოსწავლე ამთავრებს.

–მე სკოლა 1976 წელს დავამთავრე. 42 მოსწავლე ვიყავით VIII კლასში (მაშინ სოფელში არასრული საშუალო სკოლა იყო)– გულისტკივილით გვეუბნება სოფლის ტერიტორიალური ორგანოს რწმუნებული ნიკო (სპარტაკ) მამულაიშვილი. წელს უკეთესი სიტუაცია იქნება და სექტემბერში I კლასში 12 მოსწავლე გვეყოლება. მართალია სკოლის შენობა განათლების სამინისტროს პროექტში არ მომხდარა, მაგრამ ადგილობრივი სახსრებით სკოლის შენობაში ყოველწლიურად ტარდება სარემონტო სამუშაოები.

სოფელს აქვს საბავშო ბაღი, სადაც ერთ ჯგუფში 20 მოსწავლეა. ბაღის ეზოში იმ დროს მივედით, ახალგაზრდა ქალბატონს ორი პატარა რომ გამოყავდა ბაღიდან.

–ჩვენს სოფელში საბავშო ბაღი არ გვაქვს და აქ მოგვყავს–გვითხრა ჯუმათელმა ქალბატონმა ინდირა ბერიძემ.

საბავშო ბაღში (გამგე ლუიზა ზაქარიაძე) ბავშვებს კარგი პირობები აქვთ. არის სისუფთავე და სითბო.

შენობაში, სადაც ბაღია განთავსებული არის სოფლის ამბულატორიაც.

– როცა მოსახლეობა სოფლის განვითარების პროგრამიდან გამომდინარე პრიორიტეტებს ირჩევდნენ, ერთ-ერთად საბავშო ბაღის და ამბულატორიის შენობის რემონტი დაასახელეს. რაზედაც 19 ათასი ლარი დაიხარჯა. შეიცვალა 4 რკინის კარი, 17 მეტალოპლასმასის ფანჯარა, შეკეთდა სახურავი, კეთილმოეწყო გარე ფასადი. ამავე შენობაშია განთავსებული არასამთავრობო ორგანიზაცია „ბაია“ (ხელმძღვანელი ვერიკო იმნაძე) რომელსაც ბევრი კარგი პროექტი აქვს განხორციელებული –გვითხრა ნიკო მამულაიშვილმა.

– შარშან ამავე პროგრამის ფარგლებში 2 კმ. მანძილზე განათების ლამპიონები დაიდგა სოფ. ახალსოფელში, 2 კმ-ზე –ბაილეთში: წყლის პრობლემა იყო ჭანიეთურში და 10-ტონიანი წყლის ავზი დავდგით. ბაილეთის ჩაის ფაბრიკის დასახლებასთან–მოსაცდელი. შარშანწინ სოფ. ახალსოფელში გაკეთდა ახალი ხიდი.

–რა არის სოფლის მთავარი პრობლემა? –შევეკითხეთ ნიკოს.

–15 წელია ჩემს სოფელში ვმუშაობ. ისევე როგორც ყველგან ჩვენთანაც დასაქმების პრობლემაა, 370 კომლიან სოფელში 5 სახლი თუ იქნება გამოკეტილი. აშენებენ თხილს, მოჰყავთ ერთწლიანი კულტურები და ასე თუ ისე აქაურები შრომობენ და თავი გააქვთ–ამბობს ნიკო.

პოლიტიკაზე შევეკითხეთ.

– 15 წელი ცოტა დრო არ არის. 2007 წელს მაშინდელმა კუდ-ის უფროსმა დამიბარა და მკითხა:–ყველა სოფლის რწმუნებული „ნაციონალური მოძრაობის“ წევრია, შენ რატომ არ შედიხარ ამ პარტიაშიო..

–ადრე „მოქალაქეთა კავშირში“ ვიყავი. არ მინდა რომელიმე პარტიის წევრი ვიყო-მეთქი - ვუთხარი.

–მოგიწევს სამსახურის დატოვება–მკაცრად მითხრა.

–დედის მუცლიდან არ გამომყოლია თანამდებობა და თუ გამათავისუფლებთ არ იქნება ტრაგედიამეთქი –ვუპასუხე. ..მეგონა გამათავისუფლებდნენ, მაგრამ დამტოვეს–გვიყვება სოფლის რწმუნებული.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდში სოფ. ბაილეთში არაერთი ლტოლვილი ჩამოვიდა. სოფელმა ყველა კარგად მიიღო. გორიდან და სხვა ადგილებიდან ლტოლვილთა მდგომარეობაზე მაშინ რამდენიმე წერილიც დაიბეჭდა გაზეთებში.

–შარშან „ნაციონალური მოძრაობა“ არაადეკვატური იყო წინასაარჩევნოდ, რა ხდებოდა თქვენთან?

–იცი, მე არასდროს ვყოფილვარ ის რწმუნებული, თავის გამოჩენაზე რომ ზრუნავდნენ. იყო გარკვეული დავალებები, მაგრამ თავს ვარიდებდი. „ქართული ოცნების“ წევრებთან ნორმალური ურთიერთობა მქონდა და მაქვს. ჩემთვის და მათთვის ერთნაირად საყვარელი და მისახედია ჩვენი სოფელი –გვითხრა ნიკო მამულაიშვილმა.

ოზურგეთის რკინიგზის სადგური, აწმყო და მომავალი

ნუგზარ ასათიანი

ოზურგეთის რკინიგზის სადგური XX საუკუნის 20-იან წლებში აგებული არქიტექტურულად ერთ-ერთი საინტერესო შენობაა საქართველოში და მისი პროექტი არქიტექტორ შუსევს ეკუთვნის. ამ შენობას გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს სახე ნაწილობრივ შეუცვალეს და გარე კიბე მოხსნეს, ხოლო 2001 წელს „საქართველოს რკინიგზამ“ კვლავ გაარემონტა შენობა და მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის ოზურგეთი-თბილისის ღამის მატარებელი დანიშნა.

ბოლო წლებში ბევრი რამ შეიცვალა რკინიგზის მართვაში. შპს „საქართველოს რკინიგზის“ბაზაზე ჩამოყალიბდა შვილობილი კომპანია შპს **„რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტი,“ (გენ. დირექტორი მეგი მუმლაძე),** რომელიც ახორციელებს რკინიგზის ბაზაზე არსებული არაპროფილური უძრავი ქონების მართვას. მათ გადაეცათ 150 მილიონი ლარის ღირებულების აქტივები. აღნიშნულ კომპანიას გადაეცა ოზურგეთის რკინიგზის სადგურის შენობაც.

შარშან ოზურგეთის რკინიგზის სადგურში შპს „გუმბათმა“სარემონტო სამუშაოები ჩაატარა. (გამოცხადებული სატენდერო თანხა 270 ათას ლარს შეადგენდა, „გუმბათმა“203 ათასიანი წინადადება წარადგინა). სარემონტო სამუშაოები მშენებლებმა წინასაარჩევნოდ, მოკლე დროში შეასრულეს და შესაბამისად ბევრი ხარვეზიც დატოვეს. უმთავრესი ის არის,რომ მიუხედავად ახალი გადახურვისა, შენობაში რამდენიმე ადგილას წყალი ჩამოდის და ჭერს და კედლებს აზიანებს.

საზოგადოებაში კითხვის ნიშნები იმის გამოც გაჩნდა, რომ სადგურის მთავარი დარბაზიდან, სადაც მგზავრთა მოსაცდელი იყო, საბილეთო სალარო შენობის სხვა ნაწილში გადაიტანეს, სადაც მგზავრთათვის მხოლოდ ერთი ძელსკამი დგას. გავრცელებული ინფორმაციით სადგურის გასხვისებაზე იყო საუბარი.

** დავით ქურიძე, ოზურგეთის რკინიგზის სადგურის მგზავრთა სერვისცენტრის უფროსი:**– ოზურგეთის რკინიგზის სადგური არ გაყიდულა. იგი შპს „ რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტს“გადაეცა და ისინი ახორციელებენ შენობის მართვას. მგზავრთა მოსაცდელი დარბაზი არ გაუქმებულა. როდესაც მშენებლებმა სამუშაოები დაასრულეს, მგზავრთა მოსაცდელი დარბაზი გავხსენით, მაგრამ, იმის გამო, რომ იქ არ იყო დაცვა, ჩვენთვის უცნობმა პირებმა პირველ სართულზე თანამედროვე განათების ძვირადღირებული ნათურები მოიპარეს, ხოლო დარბაზში საქართველოს რკინიგზის ისტორიის ამსახველი ფოტოსურათები ჩამოხსნეს. ეს იყო მიზეზი, მოსაცდელი დარბაზის დროებით დაკეტვის (არც მგზავრთა ნაკადი იყო ისეთი) მიზეზი. ვიცი, უნდათ შენობის კომერციული ფართის გაქირავება, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ მოახერხეს.

–ოზურგეთი-თბილისის ღამის მატარებლის შემადგენლობა მხოლოდ 5 ვაგონით შედგება, რაც ვერ აკმაყოფილებს მგზავრთა ნაკადის მოთხოვნებს..

–სამწუხაროდ, ბოლო 20-25 წელია საქართველოში ახალი ვაგონები აღარ შემოსულა. ძველი, ამორტიზირებული ვაგონები ჩამოწერეს. ვიმედოვნებთ, ახალი ხელისუფლების დახმარებით შპს „საქართველოს რკინიგზა“ ახალ ვაგონებს უცხოეთში შეიძენს და გაუმჯობესებს მგზავრთა მომსახურების სერვისს.

გაზეთი „ალიონი“ **შპს „რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტის“ კომერციული ქონების დირექტორს *ეკა ბარძიმიშვილს*** დაუკავშირდა.

–ქალბატონო ეკა, რა ფორმით ფლობს ოზურგეთის რკინიგზის სადგურს შპს „რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტი?“

–შპს "რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტი"-ს დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი არის სს" საქართველოს რკინიგზა.“ ჩვენი კომპანიის საკუთრებაში ირიცხება ქ. ოზურგეთში არსებული სამგზავრო სადგურის შენობა (ისევე, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში განთავსებული სამგზავრო სადგურები და სხვა და სხვა ტიპის შენობა-ნაგებობები).

შპს "რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტი" პარტნიორთან შეთანხმებით (შპს "საქართველოს რკინიგზა") ანხორციელებს ზემოაღნიშნული აქტივების მართვასა და განკარგვას (მოვლა-შენახვა, დაცვა, გაიჯარება).

–რა იგეგმება სადგურის დარბაზში და აქვს თუ არა პერსპექტივა მის გაქირავებას, არიან თუ არა პოტენციური ქვემოიჯარადგები?

–რაც შეეხება შენობაში განთავსებულ თავისუფალ (რკინიგზისათვის გამოუყენებელ) ფართებს, ვაგზლის ხელსაყრელი ადგილმდებარეობისა და პირობების, ასევე რეგიონში არსებული ეკონომიკური გარემოს გათვალისწინებით, იმედი გვაქვს, რომ კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე გაიზრდება დაინტერესება, რაც საშუალებას მოგვცემს კანონის დაცვით მოვახდინოთ ზემოაღნიშნული ფართების გაიჯარება. და შესაბამისად" მოიჯარეებს" უფლება ექნებათ ქვეიჯარით გასცენ მათ სარგებლობაში არსებული ფართები მათივე ბიზნეს ინტერესების გათვალისწინებით.

–შპს "გუმბათს" რამდენი გადაუხადეს შენობის რეაბილიტაციაში (ამ ორგანიზაციას არ აქვს დაფარული მუშების დავალიანება) და ვინ მოსთხოვს მას უხარისხოდ შესრულებული გადახურვის სამუშაოების გასწორებას?

– 2012 წლის 2 მარტს შპს "რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტი"-ის მიერ გამოცხადებული იყო ელექტრონული ტენდერი ქ. ოზურგეთში სამგზავრო სადგურის სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის შესახებ. ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს "გუმბათი -7" და სახელმწიფო შესყიდვის კანონის შესაბამისად გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება.

„მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით, შესრულებულ იქნა ყველა დაკვეთილი სამუშაო, რომელიც მოიცავდა ამ ისტორიული შენობის ინტერიერის, ფასადის, ვიტრაჟებისა და სახურავის რეკონსტრუქციას.

შენობაზე შპს "გუმბათი-7"-ის შესრულებულ სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე ჩატარებულ იქნა შესაბამისი საექსპერტო კვლევები (სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო), რომლის დასკვნის საფუძველზეც "დამკვეთის" მიერ მოხდა სამუშაოების მიღება და შესაბამისად ანაზღაურება, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 184 512.15 ლარი დღგ-ს გარეშე.

– იგეგმება თუ არა სადგურის წინა ბაქნის კეთილმოწყობის სამუშაოები, რაც თავდაპირველი გეგმით უნდა შესრულებულიყო?

– შპს "რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტი" საკუთრებაში ფლობს მხოლოდ სამგზავრო სადგურის შენობას. შენობის მიმდებარედ არსებული ბაქანი ირიცხება შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში, შესაბამისად ბაქნის კეთილმოწყობის სამუშაოების დაგეგმვა-განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს წყვეტს თავად "საქართველოს რკინიგზა".

– ვინ უნდა გადაუხადოს დაცვის სამსახურს, რომ ვაგზლის შენობა დაცული იყოს?

– როგორც გითხარით, შპს "რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტი" ანხორციელებს მის საკუთრებაში არსებული შენობების მოვლა-შენახვას. რაც მოიცავს საჭიროების შემთხვევაში დაცვის უზრუნველყოფასაც

–იმ შემთხვევაში, თუ არ ინახა ისეთი ორგანიზაცია ან ფიზიკური პირი, რომელიც დაინტერესდება აღნიშნული კომერციული ფართით, რა ბედი ელოდება ამ დარბაზს?

– ჩვენი კომპანია ძალისხმევას არ დააკლებს, რომ რკინიგზის სადგური მიმზიდველი იყოს ბიზნეს ინტერესების განვითარებისათვის და კომფორტული– მგზავრებისთვის. გვინდა ხელი შევუწყოთ და ჩვენი პატარა წვლილიც შევიტანოთ ქ. ოზურგეთის განვითარებაში.

ვიმედოვნებთ რომ გამოჩნდებიან კომერციული ფართით დაინტერესებული პირები, თუმცა მათი არ არსებობის შემთხვევაში ზემოაღნიშნული ფართების მოვლა-შენახვა კვლავ კომპანიის ვალდებულებად დარჩება.

***

ჩვენ ვერ შევძელით შპს „გუმბათის“ხელმძღვანელებთან დაკავშირება,(კითხვები სარემონტო სამუშაოების პროცესშიც გვქონდა. (იხ. გაზ. „ალიონი“ №25, 2012 წ.) ,რომელთაც შესრულებული სამუშაოების ანაზღაურების გაუცემლობას არაერთი ოზურგეთელი უჩივის. როდესაც ქვეყანაში დასაქმების პრობლემა მწვავედ დგას, დამსაქმებლები ცდილობენ ყოველგვარი შრომითი ხელშეკრულების გარეშე აიყვანონ მუშახელი, რაზედაც ისინი ადვილად თანხმდებიან და შემდეგ დამქირავებლები ართუ იშვიათად ანაზღაურებას აღარ აძლევენ.

ჩვენ შევეცადეთ ნაწილობრივ დაგვეკმაყოფილებინა საზოგადოების მაღალი ინტერესი რკინიგზის სადგურის შენობის გასხვისებასთან დაკავშირებით. არის კითხვები, რომელთაც მომავალში გაეცემა პასუხები. ჩვენ ამ თემას ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით.

შოუ მედია

ნინო ნიკოლაიშვილი

პური თავად მოიპოვონ, სანახაობას ჩვენ ვაჩვენებთ

დრო-ჟამი იცვლება, საზოგადოების გარეგნული იერსახეც. იცვლება ადამიანთა მენტალიტეტი, დამოკიდებულება ღირებულებებისადმი. უცვლელია ცნობიერი და ქვეცნობიერი, რომელზედაც თავიანთი მოსაზრებები გააჩნიათ ფსიქოლოგებს.

საზოგადოება ნელ-ნელა გახდა ცივილიზებული? ამასობაში დაიხვეწა მმართველობის ფორმები, უფრო ოსტატურად შეიფუთა ბევრი რამ.

კარგა ხანია ვფიქრობდი დამეწერა, თუ არა ეს წერილი, უფრო სწორად იგი ჩემი უფროსი კოლეგის თემურ მარშანიშვილის წუხილის გაგრძელებად ჩავთვალე. ბატონი თემური კარგად აღწერს დღევანდელი რეალობის ნაწილს და ჟურნალისტების გარკვეულ ნაწილს „ძუკნალისტებად“ მოიხსენიებს. წუხს ამ სფეროში გაუნათლებელი ადამიანების მომრავლებით, რომლებიც მისი თქმით, დასუნსულობენ ინფორმაციების მოსაპოვებლად და ამის იქით ვეღარ მიდის მათი შესაძლებლობები. ვადასტურებ მისადმი ჩემს პატივისცემას და მე მეორე ნაწილზე გავამახვილებ ყურადღებას, ვფიქრობ, ეს მისი საწუხარიცაა.

ანუ, განათლებული და საკმაოდ ნიჭიერი და „მოქნილი მოღვაწეობა“ ამ სფეროში, შეძლებისდაგვარად ნიჭიერად (ყოველშემთხვევაში ზოგი ასე თვლის) დადგმული შოუები და ამითი მოწყობილი ცხოვრება.

პურის და სანახაობის მიცემის მცდელობით დავიწყოთ. ხელისუფლებამ ჟურნალისტების გამოყენება დაიწყო და კარგადაც გამოუვიდა რაღაც ეტაპამდე. – მოვანატროთ ჟურნალისტებს პური და ჩვენს კაკვეთას კარგად შეასრულებენ. დაიწყო თამაში. ხელისუფლებამ ერთდროულად ორი კურდღელი დაიჭირა. ჟურნალისტების ნაწილი მომხრეებად გაიხადა, და მეორე, ეს სფერო საგრძნობლად დაასუსტა. მომხრეებიც აღარ ჩამორჩნენ და თამაშის წესებს თავადაც შეუერთდნენ. დაიწყო ჟურნალისტები მხარეებად, ერთი ერთ ნაპირზე გამაგრებული პოზიციისად მოგვევლინა, მეორემ მეორეგან გაიმაგრა პოზიციები. ძნელი დარჩა შუა ხაზზე გავლა, თითქმის თვითლიკვიდაციამდე მისული მოვლენების ტოლფასი.

სამი კურდღლის დევნა და სამივეს დაჭერის შესაძლებლობები.

ჰოდა ზოგიერთები არც ისე გულუბრყვილონი აღმოჩნდნენ და ამ მოვლენებს კარგად აუბეს ფეხი და მხოლოდ შემსრულებლებად კი არა რეჟისორებადაც მოგვევლინენ. კარგად მოახერხეს პოლიტიკაში ჩახედვა. დაინახეს, რომ ყველა მხარეში არის კლანები და დაჯგუფებები, ცხადად თუ ფარულად მიმდინარეობს როგორც მხარეთა, ისე შიდა ბრძოლები. აქაც აირჩიეს მათთვის ხელსაყრელი დაჯგუფებები და მათთვის დაიწყეს მუშაობა. თეთრი და შავი პიარი. პოლიტიკურ სარბიელზე ორის გული მოიგეს, მხარისაც და შიდა დაჯგუფებისაც. საზოგადოებასაც „პირნათლად წარუდგინეს თავი“, აქაოდა ჩვენთვის მხარე არ არსებობს, ვწერთ ყველაზე და ყველაფერზე. ობიექტურები ვართო.

რეალობა, პოლიტიკაში ადამიანთა გამოყენება, მერე გვერდზე მიწევა და დავიწყება. – პოლიტიკაში მოსულაო, ამბობენ. იწყება განაწყენებულთა მოგზაურობა ერთი პარტიიდან მეორეში. გადაპატიჟებებ-გადმოპატიჟებები. ჟურნალისტები უფრო ფრთხილები აღმოჩნდნენ ამ შემთხვევაში. „მეგობრობის“ პერიოდში ფარული თუ ცხადი ჩანაწერებით დააგროვეს და კვლავ აგროვებენ კომპრომატებს. მერე პერიოდულად წაუნისკარტებენ და საკუთარ თამაშებზედაც მოჰყავთ პოლიტიკოსები.

რა მნიშვნელობა აქვს ჭორია თუ მართალი, მთავარია საზოგადოებას მოსწონს სკანდალი. მოსწონს შოუები – აი, მათი მოსაზრება სურვილი საზოგადოების გამოკვებისა. სცენარები ასე იწერება წინასწარ. კაბინეტებში, მეგობრების ოჯახებში. ზოგი ვიღაცას საწოლში ჩაიწვენს, იქ გაუმხელს მომავალ „გეგმებს“.

შედეგი? – კარგი ცხოვრება, თავის დამკვიდრება ან შურისძიება.

„მეგობარი კოლეგები“

მახსენდება ერთი საკმაოდ მძიმე დღე, ჩვენი კოლეგა, როგორ უთითებდა ხელს სპეცრაზმელებს ჩვენკენ, რასაც ჩვენი დაკავება მოჰყვა მათი მხრიდან.

მახსენდება ისიც, როგორ იღებდნენ ჟურნალისტები თითოეულ ადამიანს მიტინგებსა და შეხვედრებზე, რათა ეჩვენებინათ მათი „უფროსი მეგობრებისათვის“, მათივე გულის მოსაგებად. მახსენდება ისიც, როცა გვერდით მდგომნი, ვითომ გულუბრყვილოდ გეკითხებიან, ხელში კი ფარულად ჩართული ტელეფონი ან დიქტოფონი უჭირავთ. მალე ექსკლუზივი ჩნდება. ეს არაფერი, მარიფათსა და ოსტატობაში ეთვლება მავანთ, მაგრამ ტყუილ-მართალს რაღა ვუყოთ, ასე რომ წალეკა ყველა და ყველაფერი ხშირად ექსკლუზიური ინფორმაციის გავრცელების ჯიბრით.

და მიუხედავად ამისა, მაინც, ჟურნალისტიკა ურთულესი პროფესიაა, ბევრი გმირობის ტოლფასი საქმე ირიცხება ჟურნალისტთა საქმიან ანგარიშზე. ბევრ უკანონობას ახდია ფარდა და ბევრი ადამიანის უფლებებიც დაცულა ჟურნალისტებისაგან; (ეს ყველას არ ეხება) ბევრ ძალადობას აღდგომიან წინ, მაშინ როდესაც თავად არ იყვნენ დაცულნი ყოველივე ამისაგან.

ხშირად ჟურნალისტებს საზოგადოების სახელით საყვედურობენ. მაშ ესენი ვინ არიან? ერთი ხომ მეორეს აყალიბებს და მეორე პირველს.

შეხვედრა ქალთა კლუბში

12 თებერვალს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში არასამთავრობო ორგანიზაციის კულტურულ ჰუმანიტარული ფონდ ,,სოხუმის'' ოზურგეთის ქალთა კლუბის შეხვედრა გაიმართა. აღნიშნული ღონისძიება ემსახურებოდა იმას, რომ ქალებისთვის შექმნილიყო სასიამოვნო გარემო. მათ ცოტა ხნით დავიწყებინათ არსებული პრობლემები.

თავდაპირველად ფონდ ,,სოხუმის'' პროექტის ასისტენტმა მანანა ლეშკაშელმა მოკლედ ისაუბრა აღნიშნული ორგანიზაციის შესახებ. შემდეგ კი ქალთა კლუბის ერთ-ერთმა მოდერატორმა ნინო ნიკოლაიშვილმა აუდიტორიას მოწვეული სტუმრები წარუდგინა: სულიკო ლომჯარია, ეთერ ქადეიშვილი, ხათუნა ჭეიშვილი. კლუბის ერთ-ერთმა ლიდერმა ქეთევან ქადეიშვილმა და მოდერატორმა ნანა კეკელიძემ წაიკითხეს სტუმართა ლექსები და თავიანთი შეხედულებები გამოთქვეს მოწვეულ სტუმართა შემოქმედებაზე. განიხილეს სულიკო ლომჯარიას ორი წიგნი ,,სოფელო ჩემო'' და ,,საირმის ლამაზი ზღაპარი''. როგორც თავად ავტორმა აღნიშნა, ის სულ ფიქრობდა რაღაც გაეკეთებინა თავისი სოფლისთვის, ჭანეთისთვის, რომელსაც საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. სწორედ ამიტომ მოუძღვნა წიგნი. ქალბატონმა სულიკომ მომავლის გეგმებზე ისაუბრა, მას სურს შეისწავლოს ძველი ეპიტაფიები საფლავის ქვებზე და გამოსცეს წიგნად.

რაც შეეხება ეთერ ქადეიშვილს, როგორც ნინო ნიკოლაიშვილმა აღნიშნა, ის ყველაზე მძიმე პერიოდში მუშაობდა ჟურნალისტად და მკაცრი ცენზურის მიუხედავად, მაინც ყოველთვის ახერხებდა სათქმელის თქმას. ქალბატონმა ეთერმა აუდიტორიის თხოვნით გაიხსენა თავისი სტუდენტობის პერიოდი, აღნიშნა, რომ აპირებს აღადგინოს ქალთა ორგანიზაცია ,,თეთრი მანდილი''. მან წლების განმავლობაში გამოსცა საკმაოდ ბევრი წიგნი: ,,ატალღებული ფიქრის ნაკვალევი'', ,,პაატა''... უკანასკნელი მათგანის გავრცელებისგან შემოსული თანხა ოზურგეთელთა სახელით გადაირიცხება მახათას მთაზე სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის ფონდში. აღნიშნა ისიც, რომ დასრულა ახალ წიგნზე მუშაობა, სპონსორობა კი ენერგეტიკის მინისტრს კახა კალაძეს სთხოვა და ახლა მისგან ელოდება პასუხს.

– ,,პატრიარქის წირვას ვადევნებდი ტელევიზიით თვალს. მამა გაბრიელს შევთხოვე, დამანახე ვინ შეიძლება დამეხმაროს წიგნის გამოცემაში-მეთქი. ეკრანი კახი კალაძის სახემ დაფარა.

მესამე სტუმარი ხათუნა ჭეიშვილის ვაკვაკვარის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის პედაგოგია, არის სამი შვილის დედა. როგორც მან აუდიტორიას გაუმხილა, სულ რაღაც ორი წლის წინ დაიწყო ლექსების წერა და ამის შემდეგ აღარ გაჩერებულა. ,,უბრალოდ მეწერება და ვწერ'' დამსწრე საზოგადოების თხოვნით მან რამდენიმე ლექსი წაიკითხა. მათ შორის: ,,სინანული'', ,,ჩემი სიცოცხლე''. ეს უკანასკნელი მან თავის ნაბოლარა შვილს მიუძღვნა. როგორც აღმოჩნდა ქალბატონი ხათუნა საკმაოდ კარგად მღერის, შეხვედრის მიწურულს მან სიმღერაც შეასრულა.

მოწვეულ სტუმრებს შვედური კოსმეტიკური ფირმის ,,ორიფლეიმის'' წარმომადგენლობის უფროსმა ოზურგეთში ნანა ჩხატარაშვილმა საჩუქრები გადასცა. ასე დასრულდა ერთი სასიამოვნო დღე ქალთა კლუბში

ხატია ჭანიშვილი

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.

„კოლხეთის თასზე" ძიუდოში

ქ. ზუგდიდში ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი ,,კოლხეთის თასზე'' ჭიდაობა ძიუდოში 1996-97წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის., რომელშიც საქართველოს ყველა რეგიონის ძიუდოისტები იყვნენ წარმოდგენილი. ოზურგეთის სასპორტო სკოლის გუნდში 5 ძიუდოისტი მონაწილეობდა, და მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია.

განსაკუთრებით კარგად გამოვიდა 60 კგ. წონით კატეგორიაში მოასპარეზე გურამ მიქატაძე, რომელმაც ხუთივე შეხვედრა მოიგო და ჩემპიონი გახდა.

73 კგ. წონით კატეგორიაში მხოლოდ ფინალური ბრძოლა დათმო ნუგზარ ლობჟანიძემ, რომელიც საბოლოოდ ვერცხლის მედალს დასჯერდა.

55 კგ. წონით კატეგორიაში III საპრიზო ადგილი დავით გოგოტიშვილმა დაიკავა.

გუნდი გოჩა ბურჭულაძემ და დიმიტრი ტულუშმა მოამზადეს

ოზურგეთელ მძლეოსანთა წარმატება

ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი 1996-98 წლებში დაბადებულთა შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდა ოზურგეთის სასპორტო სკოლის გუნდი (იგი I ლიგაში ასპარეზობდა) რომლის ღირსებას იცავდნენ: ელენე ტოლსტოვა, გოგა ალთუაშვილი, ანი მუჯირი, ლადო ქათამაძე, ნანი პაკელიანი, მარი კეკელიძე, სერგო ხაჩალიანი.

მათგან საპრიზო ადგილები დაიკავეს:

ნანი პაკელიანმა ბადროს ტყორცნაში –II ადგილი;

მარი კეკელიძემ შუბის ტყორცნაში–III ადგილი;

გოგა ალთუნაშვილმა სიგრძეზე ხტომაში–III ადგილი.

პირველ ლიგაში ოზურგეთის სასპორტო სკოლის გუნდმა V ადგილი დაიკავა.

ოზურგეთელთა გუნდის წევრი, ელენე ტოლსტოვა 2015 წლის მინი ოლიმპიადის პროგრამის მონაწილეა და 18 თებერვლიდან ქ. თბილისში გაივლის სამწვრთნელო შეკრებას. მწვრთნელთა ყურადღება ნანი პაკელიანმაც დაიმსახურა.

ოზურგეთელთა გუნდი მარინა კოტრიკაძემ მოამზადა.

ბათუმში რესპუბლიკურ ტურნირზე

ქ. ბათუმში გამართულ რესპუბლიკურ ტურნირზე თავისუფალ ჭიდაობაში წარმატებას მიაღწიეს ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღზრდილებმა და მათ თავიანთ წონით კატეგორიაში საპრიზო ადგილები დაიკავეს.

54 და 58 კგ. წონით კატეგორიებში II საპრიზო ადგილი გია გიორგაძემ და ნიკა ჩხაიძემ დაიკავეს, ხოლო 50 კგ. წონით კატეგორიაში III ადგილი რეზო მორჩილაძემ დაიკავა. (მწვრთნელი დავით მაჭარაშვილი).

აზროვნება პოლიტიზირებულია



,,–ისე დიდი ეშმაკია ინგლისი, ამერიკას ეუბნება მე დამეხმარე და საბჭოთა კავშირს თავი დაანებეო!

–ახლა გერმანია ეუბნება თურქეთს და იაპონიას– მე რომ სტალინგრადში შევალ, თქვენ მაქედან დაარტყითო!

-თურქეთის პოლიტიკა რაღაც არ მომწონს ამ ბოლო დროს, ჩემო ილარიონ!

-მაგი ისეთი ჟულიკია, თუ შეატყო გაუჭირდაო, ისევ გერმანიას გამოუცხადებს ომს.

-გაჩერდი კაცო!

-აგერ ვარ მე და აგერაა გერმანია.''

ესეც ასე, ეს ისტორია ძველია, ახლა კი ისევ წრებრუნვა და ბახურთან, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, სამსახურში, ე.წ. ბირჟაზეც კი აქტიურობას არ კარგავს პოლიტიკის განხილვა. სხვადასხვა რაკურსით, სხვადასხვა პოზიციითა და მოწადინებით, განურჩევლად სქესის თუ ასაკის, ყველა პოლიტიკაზე საუბრობს. მოდით, სამუშაო ჰიპოთეზად შევიმუშავოთ დებულება: ,,აზროვნება პოლიტიზირებულია.'' მოგეხსენებათ, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საუკეთესო მეთოდია, ჩაჯდე სამარშუტო ტაქსში და მოუსმინო გურული იუმორით გაჟღენთილ პოლიტიკურ სიახლეებს. ამიტომაც გადავწყვიტე, სოფელში წავსულიყავი ავტობუსით, რომელშიც გაიგებდით სიტყვებს, რომლებიც ვერ არ გსმენიათ. მაგ ,,დასრულდეს ეს ტოჰბიტი,'' (სავარაუდოდ, კოჰბიტაცია იგულისხმებოდა) ვიღაცის ოპტიმისტურ რეპლიკასაც მოისმენთ. ,,მალე ჩვენც გვეშველება.'' შემდეგ იწყება უშუალოდ პოლიტიკოსებზე საუბარი, მათი ფიზიკური დახასიათებაც, მალე პატარებიც ეჩრებიან საუბარში და ერთ-ერთს კითხვა უჩნდება, რომელ პოლიტიკური ლიდერია კარგი და რომელი-ბოროტი. ყველას ეცინება და შემდეგ თითოეული მათგანი სიკეთისა და ბოროტების საკუთარ ვარიანტებს ამბობს, მე კი ამ დროს პლატონის სიტყვები მახსენდება: ,,სახელმწიფო მხოლოდ კარგი ხალხისგან რომ შედგებოდეს, ერთმანეთს შეეჯიბრებოდნენ ხელისუფლებისგან თავის დაღწევაში, ამჟამად კი ებრძვიან ერთმანეთს ხელისუფლებისთვის, ამ საქმისადმი მოწოდების გარეშე.'' თუმცა რატომ უნდა მოსთხოვო ვინმეს ამ მოსაზრების ცოდნა, როცა ყველა ისე ფიქრობს, როგორც სურს. ავტობუსი დაიძრა თემა გაგრძელდა და პოლიტიკაში მძღოლიც ჩაერთო. მოკლედ ერთი დიდი დებატი გაიმართა. ჩემ გვერდით პატარა ბიჭი იჯდა, 10 წლის, დიდი გულისყურით უსმენდა მეზობლების მოსაზრებებს. დამინტერესა და ვკითხე, რომელ გადაცემებს უყურებდა ყველაზე ხშირად, მან კი მიპასუხა: ქრონიკა და კურიერი, ისიც აღმოჩნდა, რომ, როცა გაიზრდებოდა, პრეზიდენტი გახდებოდა და ხალხს იმ დაპირებებს შეუსრულებდა, რომლებსაც ისინი ახლა ითხოვდნენ.

10 წლის ბავშვი იმხელა ენთუზიაზმით საუბრობდა მომავალ გეგმებზე, რომ ცოტა გამიკვირდა კიდეც. მართალია, პრეზიდენტობა ბევრ ბავშვს სურს, მაგრამ ეს ისე, ერთი წინადადებით: ,,მე მინდა პრეზიდენტი გავხდე,'' ამ ბიჭმა კი საკუთარი თვალით დანახული პოლიტიკური რეალობა დამიხვავა წინ და დაპირების შესრულებაც აღმიქვა.

არანაკლებ საინტერესო სიტუაცია დამხვდა სოფელში, როცა ნათესავები მოვინახულე. ღუმელთან ჩამომსხდარი მეზობლები, რა თქმა უნდა, პოლიტიკაზე საუბრობდნენ.

თავდაპირველად ხმადაბლა, შემდეგ ერთი ტონით მაღლა, შემდეგ კამათი ყვირილში გადაიზარდა თემაზე, რა გაკეთა ძველმა მთავრობამ და რას აკეთებდა ახალი. ერთ-ერთი გაბრაზებული მეზობელი საბოლოოდ, კარის მიჯახუნებით გავიდა და ასე უკმაყოფილომ დატოვა ,,აუდიტორია''. მეორე დღეს დავბრუნდი სახლში. არ მინდოდა მეფიქრა მოსმენილ დიალოგებზე, არ მინდოდა დიაგნოზის დასმა ,,აზროვნება პოლიტიზირებულია?'' ამ დროს ჩემი მეშვიდეკლასელი მეზობელი მოვიდა და მთხოვა დავალების დაწერაში დავხმარებოდი. თემა კი იყო შემდეგი ,,მე რომ პრეზიდენტი ვიყო''. ვათვალიერებდი მის მიერ გაკეთებულ მონახაზს, გონებაში კი ჩემდაუნებურად დავსვი დიაგნოზიც და ბეჭედიც...

ხატია ჭანიშვილი

(თამაზ დარჩიას ნახატი)

ხსოვნა

ბადრი ლომინეიშვილი

წავიდა ჩვენგან საუკეთესო ადამიანი, რომელიც მთელი თავისი ცხოვრებით იყო მაგალითი ღირსების, უანგარობის, პატრიოტიზმის, პროფესიონალიზმისა.

ბადრი აკაკის-ძე ლომინეიშვილი 1951 წელს დაიბადა ჩოხატაურის რ-ნის სოფ. სურებში. 1968 წელს დაამთავრა ოზურგეთის №I საშუალო სკოლა და სწავლა ჩაისა და სუბტროპიკულ მცენარეთა დაცვის ტექნიკუმში გააგრძელა. 1970 წელს ჯარში გაიწვიეს. იქვე გააგრძელა მუშაობა სხვადასხვა თანამდებობაზე. 1978 წელს სწავლა განაგრძო ლვოვის პოლიტექნიკურ სასწავლებელში, რომელიც 1983 წელს დაასრულა. 27 წელი იმსახურა ჯარში, მათ შორის ორ წელნახევარი იმყოფებოდა ავღანეთში. 1991 წლიდან მუშაობა განაგრძო საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. 1993 წლიდან მუშაობდა ოზურგეთის განათლების განყოფილებაში სამხედრო მეთოდისტ მასწავლებლად. ოზურგეთის №3 საშუალო სკოლაში. შემდეგ მუშაობა განაგრძო ნარუჯის საჯარო სკოლაში სამხედრო საქმის მასწავლებლად, სადაც მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე. მიღებული ჰქონდა ჯილდოები და მედლები სხვადასხვა ოპერაციებში წარმატებული მონაწილეობისათვის. იყო ავღანელთა კავშირის წევრი.

ბადრი ლომინეიშვილი იყო სამხედრო საქმის ჩინებული მცოდნე, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული, კარგი პედაგოგი და მეგობარი, კარგი მამა და ოჯახის უფროსი, სამართლიანი პიროვნება. ადრიანად გამოაკლდა ჩვენს რიგებს, მაგრამ დატოვა სახელი, რომელსაც მუდამ სიყვარულით და პატივისცემით მოიხსენიებენ მისი ახლობლები, მეგობრები, კოლეგები.

ნარუჯის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, ოზურგეთის პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების ორგანიზაცია.

ნუგზარ ასათიანი ოჯახით თანაუგრძნობს რუსუდან და ზირა ბაქანიძეებს, ქ-ნ თინა სეფერთელაძეს, დედისა და დის **თეოლინა სეფერთელაძის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე